დამტკიცებულია
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
2001 წლის 16 აგვისტოს №305 ბრძანებით

# სანიტარიული წესები
# სანწ 2.3.5. 000 – 00
# 2.3.5. სავაჭრო დაწესებულებები
# სანიტარიული წესები სურსათის საბითუმო ბაზრებისათვის
# Sanitary rules for whole food markets

## I. გამოყენების სფერო

1. წინამდებარე სანიტარიული წესები სურსათის საბითუმო ბაზრებისათვის წარმოადგენს დამატებას სანწ 2.3.5.000 – 00 „სანიტარიული წესები სასურსათო ვაჭრობის საწარმოებისათვის" და ადგენს სანიტარიულ მოთხოვნებს სურსათის საბითუმო ბაზრებისადმი, მათი სათავსების მოწყობისა და აღჭურვისადმი, კვების პროდუქტების გადაზიდვის, მიღება-გაცემის, შენახვისა და რეალიზაციის პირობებისადმი, აგრეთვე თანამდებობის პირთა ვალდებულებებისადმი წინამდებარე წესების დასაცავად.

2. წინამდებარე სანიტარიული წესების დაცვა სავალდებულოა სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და საწარმოების მიერ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა და სამართლებრივი ფორმისა.

3. წინამდებარე სანიტარიული წესები ვრცელდება როგორც მოქმედ, ასევე მშენებარე და სარეკონსტრუირებელ საბითუმო ბაზრებზე მათი საკუთრების ფორმის მიუხედავად.

## II. ნორმატიული დამოწმებები

1. წინამდებარე ჰიგიენურ ნორმატივებში გამოყენებულია დამოწმებები შემდეგ დოკუმენტებზე:

ა) საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ";

ბ) საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ";

გ) საქართველოს კანონი „მომხმარებალთა უფლებების დაცვის შესახებ";

დ) საქართველოს კანონი „სურსათისა და თამბაქოს შესახებ";

ე) საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 16 მარტის №807 ბრძანებულება „ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების სახელმწიფო პროგრამის 1999 – 2005 წლების ღონისძიებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ".

## III. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე სანიტარიული წესები ვრცელდება ყველა მოქმედ სურსათის საბითუმო ბაზარზე, მიუხედავად საკუთრების ფორმისა და უწყებრივი დაქვემდებარებისა.

2. სურსათის საბითუმო ბაზრების პროექტირება, მშენებლობა, რეკონსტრუქცია და კაპიტალური რემონტი ტარდება სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურთან დადგენილი წესით შეთანხმებული პროექტის მიხედვით და იმ მოთხოვნების დაცვით, რომელიც ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების დაწესებულებებისათვის მოქმედი სანიტარიული წესებითაა გათვალისწინებული.

3. სურსათის საბითუმო ბაზრის ტერიტორიაზე არსებული (ან განლაგებული) სავაჭრო დაწესებულებებში რეალიზებული პროდუქციის ასორტიმენტი და რეალიზაციის პირობები სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურთან უნდა იქნეს შეთანხმებული.

## IV. სანიტარიული მოთხოვნები სურსათის საბითუმო ბაზრების ტერიტორიისადმი

1. სურსათის საბითუმო ბაზრის მშენებლობისათვის ნაკვეთის შერჩევა სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურთან უნდა შეთანხმდეს.

2. საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებთან 100 მეტრზე ახლოს, რეკრეაციულ ზონაში, აკრძალულია სურსათის საბითუმო ბაზრების მშენებლობა. საბითუმო ბაზარი არ უნდა გამოდიოდეს უშუალოდ ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალზე, წითელი ხაზიდან იგი დაცილებული უნდა იყოს 30 მ-ით. ინდივიდუალური ავტოტრანსპორტისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს ავტოსადგომი 3-5 სავაჭრო ადგილზე 1 ავტომობილის გაანგარიშებით.

3. სურსათის საბითუმო ბაზრის ტერიტორია დაყოფილი უნდა იყოს შემდეგ ფუნქციონალურ ზონებად:

ა) სავაჭრო (ფარდულები, ჯიხურები, პავილიონები);

ბ) ადმინისტრაციულ-სასაწყობო (საყოფაცხოვრებო-ადმინისტრაციული სათავსები, მათ შორის საზოგადოებრივი კვების ობიექტები საბითუმო ბაზრის პერსონალისათვის, სასაწყობო სათავსების ჯგუფი);

გ) სამეურნეო (ნაგვის შესაგროვებელი მოედნით);

დ) სადგომი ტრანსპორტისათვის.

4. სავაჭრო ზონაში უნდა იყოს ბოსტნეულის, ხილისა და ბაღჩეულის რეალიზაციისათვის გამოყოფილი ცალკე მოედანი.

5. სურსათის საბითუმო ბაზარს უნდა ჰქონდეს მოსახერხებელი მისასვლელი გზები, მათ შორის, ფეხით მოსიარულეთათვის; შესასვლელ-გასასვლელი გზა – არანაკლებ ორისა (ნედლეულისა და მზა პროდუქციის, სასურსათო და სამეურნეო ტვირთების შემხვედრი ნაკადების გამოსარიცხავად).

ა) ავტომანქანებიდან ვაჭრობისას სურსათის საბითუმო ბაზრის ტერიტორიაზე გამოყოფილი უნდა იყოს ცალკე მოედანი, მოსახერხებელი შესასვლელ-გასასვლელით. ვაჭრობის საათებში სავაჭრო ზონაში ავტოტრანსპორტის მოძრაობა კატეგორიულად აკრძალულია.

6. ბაზრის ტერიტორია, მათ შორის, მისასვლელი გზები, ტროტუარები და ჩამოსატვირთი მოედნები უნდა იყოს მოასფალტებული ან მოპირკეთებული; ეს გზები უნდა იყოს დაქანებული, რათა წვიმისა და ნაჟური წყლები კანალიზაციაში ადვილად ჩაედინებოდეს.

7. ნაგვის გასატანი კონტეინერები განლაგებული უნდა იყოს მოასფალტებულ ან დაბეტონებულ მოედნებზე, რომელთა ფართობი უნდა აღემატებოდეს კონტეინერის ძირის ფართს არანაკლებ 1 მ-ით, ხოლო მოედანი სავაჭრო და სასაწყობო (სასურსათო) დაწესებულებების ზონიდან დაშორებული უნდა იყოს არანაკლებ 25 მ-ით.

ა) 10 მ -მდე მოცულობის კონტეინერების რაოდენობა უნდა გამოითვალოს შემდეგი გაანგარიშებიდან: 1 კონტეინერი ბაზრის ტერიტორიის 200 მ ფართობზე;

ბ) გარდა ამისა, სავაჭრო ჯიხურების გასწვრივ განთავსებული უნდა იყოს 10-20 დმ მოცულობის სანაგვე ურნები, მათ შორის დაცილებები არ უნდა აღემატებოდეს 20 მ-ს, ე.ი. ერთი ურნა 50 მ-ზე. საკვები ნარჩენებისათვის უნდა იდგეს სპეციალური თავსახურიანი ტევადობები.

8. საბითუმო ბაზრისა და მისი მიმდებარე (25 მ-მდე პერიმეტრზე) ტერიტორია სუფთა უნდა იყოს. სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ ყოველდღიურად უნდა ჩატარდეს ძირითადი დასუფთავება, ხოლო დღის განმავლობაში – მიმდინარე. ზამთრის პერიოდში ტერიტორია თოვლისაგან რეგულარულად უნდა იწმინდებოდეს (მისასვლელი გზები და მოედანი სავაჭრო პავილიონების წინ).

ა) ნაგავი და საკვები ნარჩენები რეგულარულად უნდა გაჰქონდეთ ტერიტორიიდან კონტეინერებისა და ურნების ავსებისთანავე (არა უმეტეს კონტეინერის მოცულობის 2/3-ისა).

9. ინდივიდუალური და სამსახურებრივი ავტომანქანების სადგომი უნდა განთავსდეს საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობებიდან არანაკლებ 50 მ-ის დაშორებით.

10. მომხმარებლებისა და მომსახურე პერსონალისათვის საბითუმო ბაზრის ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს წყალგაყვანილობითა და კანალიზაციით უზრუნველყოფილი საპირფარეშოები, უახლესი სავაჭრო ადგილიდან არანაკლებ 20მ-ის დაშორებით.

11. მომხმარებლებისა და მომსახურე პერსონალისათვის ბაზრის ტერიტორიაზე დამონტაჟებული უნდა იყოს ხელის დასაბანი მოწყობილობა. წერტილების გათვლა უნდა მოხდეს მომხმარებრელთა 25%-ზე გაანგარიშებით, ხოლო ხელსაბანებისა – 20 კაცზე ერთი.

12. ბაზრის ტერიტორიაზე ყოველ 50 მ-ში უნდა დამონტაჟდეს წყლის ჰიდრატები და წყალმიმღები ტრაპები ტერიტორიის გასარეცხად.

13. შინაური ცხოველებით, პირუტყვითა და ფრინველებით ვაჭრობა ბაზრის ტერიტორიაზე აკრძალულია.

**V. სანიტარიული მოთხოვნები წყალგაყვანილობის, კანალიზაციის, გათბობის, ვენტილაციისა და განათებისადმი**

1. საბითუმო ბაზრების წყალგაყვანილობა და კანალიზაცია ჩართული უნდა იყოს მოქმედ საინჟინრო კომუნიკაციებში ან ჰქონდეთ მათთვის აგებული ლოკალური ნაგებობები, ამასთან, დაცული უნდა იყოს მოთხოვნები სნდაწ – 2.04.01.-85 „შენობების შიდა წყალგაყვანილობა და კანალიზაცია"

2. სასმელ-სამეურნეო წყლის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს სწდან 2.1.4.000-00 „სასმელი წყალი. ჰიგიენური მოთხოვნები სასმელი წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემების წყლის ხარისხისადმი. ხარისხის კონტროლი".

3. წყლით სარგებლობის პირობები და ჩამდინარე წყლების ჩაშვება კანალიზაციის სისტემაში შეთანხმებული უნდა იყოს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურთან.

4. წყალგაყვენილობის შიგა ქსელის მოწყობილობა მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს. სურსათის საბითუმო ბაზრები უზრუნველყოფილი უნდა იყოს წყლის საკმარისი რაოდენობითა და უწყვეტი მიწოდებით

5. სურსათის საბითუმო ბაზრის ტერიტორიაზე უნდა იყოს ვენტილაციისა და გათბობის სისტემებით აღჭურვილი სტაციონარული ობიექტები სწდან 04.05-91 „გათბობა, ვენტილაცია და კონდიცირება" მოთხოვნების შესაბამისად.

6. სურსათის საბითუმო ბაზრის ყველა საწარმოსა და სათავსოს განათება უნდა შეესაბამებოდეს მოთხოვნებს სნდაწ „ბუნებრივი და ხელოვნური განათება".

**VI. სანიტარიული მოთხოვნები სათავსების მოწყობისა და ექსპლუატაციისადმი**

1. საწარმოები (მათ შორის, საცალო ვაჭრობის), რომლებიც ვაჭრობენ მალფუჭებადი პროდუქტებით, ნედლეულისა და მზა პროდუქტების ცალკე შესანახად სამაცივრო დანადგერებით უნდა იყოს აღჭურვილი. სამაცივრო დანადგარებით აღჭურვისა და მოცულობის მიხედვით მალფუჭებადი საკვები პროდუქტების მარაგი უნდა შეესაბამებოდეს დასაწყობების ნორმებს.

2. ჯიხურები უნდა ვაჭრობდეს ერთი ჯგუფის პროდუქტებით, ხოლო კარვები და პავილიონები შეიძლება ვაჭრობდნენ შერეული სახის საქონლით, თუ მათ პროდუქტების შენახვისა და რეალიზაციის სათანადო პირობები გააჩნიათ (სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებული ასორტიმენტის შესაბამისად).

3. ყველა სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტი მოქმედი სანიტარიული წესების შესაბამისად უნდა მომარაგდეს დალაგება-დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარით, აგრეთვე სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებებით, რომლებიც ნებადართულია გამოსაყენებლად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ.

4. ყველა სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალა, რომელიც გამოიყენება სათავსების მოსაპირკეთებლად, ნებადართული უნდა იყოს ამ მიზნით გამოსაყენებლად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ. იატაკი უნდა იყოს წყალგაუმტარი, გლუვი, ხვრელებისა და ნახეთქების გარეშე, მოსახერხებელი დასუფთავებისა და რეცხვისათვის.

5. სათავსების სათანადო სანიტარიული მდგომარეობის შესანარჩუნებლად ყოველწლიურად უნდა ჩატარდეს კოსმეტიკური, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – კაპიტალური რემონტი.

6. საწარმოების ყველა სათავსში დაცული უნდა იყოს სათანადო სისუფთავე, ყოველდღიურად სველი წესით სუფთავდებოდეს ხელსაბანები და უნიტაზები, ტარდებოდეს დეზინფექცია.

7. საბითუმო ბაზარი უნდა დაიკეტოს სანიტარიული დღის ჩასატარებლად თვეში ერთხელ – სათავსების გენერალური დასუფთავების (აუცილებლობისას), დეზინფექციისა და დერატიზაციისათვის.

ა) სანიტარიული დღეების ჩატარების გრაფიკი სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურთან უნდა იყოს შეთანხმებული.

8. საბითუმო ბაზრის ნებისმიერი სათავსის გამოყენება საცხოვრებლად ან ღამის გასათევად კატეგორიულადაა აკრძალული. უცხო პირთა შესვლა სათავსში, სადაც ხდება სასურსათო პროდუქციის მიღება, შენახვა და გასაყიდად მომზადება, ადმინისტრაციის ნებართვითა და მხოლოდ სანიტარიული ტანსაცმლით უნდა მოხდეს.

**VII. სანიტარიული მოთხოვნები აღჭურვილობისა და ინვენტარისადმი**

1. სურსათის საბითუმო ბაზარი უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკმარისი რაოდენობის სამაცივრო დანადგარებით, რომელთაც ტემპერატურული რეჟიმის საკონტროლებელი თერმომეტრი აქვთ.

2. დანადგარები ისე უნდა განლაგდეს, რომ დალაგება-დასასუფთავებლად მათთან მისვლა თავისუფლად შეიძლებოდეს.

3. გარეცხვისა და დეზინფიცირების გასაადვილებლად გისოსებს, სტელაჟებსა და ქვესადგასმებს უნდა ჰქონდეს გლუვი ზედაპირი, ამასთან, მათი სიმაღლე იატაკიდან დაშორებული უნდა იყოს არანაკლებ 15სმ-ით.

4. ნაგვის შესაგროვებლად სავაჭრო და სასაწყობო შენობებში უნდა იყოს პედალიანი კასრი ან თავსახურიანი ვედრო, ისინი უნდა დაიცალოს მათი მოცულობის 2/3-ის გავსებისას, ხოლო სამუშაო

დღის დამთავრებისთანავე 1-2%-იანი კალცინირებული სოდის ცხელი ხსნარით (45-50$^0$C) ან სხვა სარეცხი საშუალებებით გაირეცხოს.

5. სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოების, ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო და სასაწყობო სათავსების დასალაგებლად შესაბამისად ნიშანდებული სხვადასხვა ინვენტარი უნდა იქნეს გამოყენებული.

ა) ინვენტარი სპეციალურ დასაკეტ კარადებში ან ნიშებში უნდა ინახებოდეს. ასევე უნდა იყოს მარკირებული სამაცივრო დანადგარების დასუფთავებისათვის განკუთვნილი ვედროები და სხვა ინვენტარი.

6. საპირფარეშოების დასალაგებლად განკუთვნილი ინვენტარი უნდა შეიღებოს სასიგნალო ფერით და სპიციალურად გამოყოფილ ადგილას ინახებოდეს.

**VIII. სანიტარიული მოთხოვნები საკვები პროდუქტების შენახვისა და რეალიზაციის პირობებისადმი**

1. საკვები პროდუქტების შენახვა და რეალიზაცია მოქმედი ნორმატიული და ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად უნდა ხდებოდეს, ასევე უნდა იყოს დაცული ტემპერატურის, ტენიანობისა და განათების რეჟიმის პარამეტრები თითოეული სახის პროდუქციაზე.

2. ისეთი სავაჭრო დაწესებულებები, რომლებიც არ არის უზრუნველყოფილი სამაცივრი დანადგარებით მალფუჭებადი და განსაკუთრებულით მალფუჭებადი საკ-ვები პროდუქტების მიღება, შენახვა და რეალიზაცია აკრძალულია.

3. მალფუჭებადი საკვები პროდუქტების ცივად შენახვა უზრუნველყოფილი უნდა იყოს არა მარტო სასწყობო სათავსებში, არამედ უშუალოდ მათ გასაყიდ ადგილებზეც.

4. სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების შენახვისას სასქონლო გამიჯვნის წესები მკაცრად უნდა იყოს დაცული.

5. სარეალიზაციოდ ნებადართულია მხოლოდ კეთილხარისხოვანი საკვები პროდუქტები, რომლებიც სერტიფიცირებულია დადგენილი წესით და წარმოებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული ნორმატიული და ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად.

6. ეტიკეტისადმი არსებული მოთხოვნები შესაბამისად სარეალიზაციოდ განკუთვნილ საკვებ პროდუქტებს უნდა ჰქონდეთ ზუსტი მონაცემები მათი ვარგისობის ვადის, დამამზადებლისა დ სხვათა შესახებ.

7. ვადაგასული საკვები პროდუქტების რეალიზაცია აკრძალულია.

8. სასურსათო ნედლეულის და საკვები პროდუქტების შენახვის ტემპერატურული რეჟიმი უნდა უპასუხებდეს მოქმედი ნორმატიული და ტექნიკური დოკუმენტების, სტანდარტებისა და სანწდან „განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქტების შენახვის პირობები და ვადები" მოთხოვნებს.

9. გაყინული პროდუქციის რეალიზაცია ნებადართულია მხოლოდ დაბალტემპერატურული დანადგარების არსებობისას, ხელმეორედ ამ პროდუქტების გაყინვა აკრძალულია.

10. დადგენილი შენახვის ვადის შესაბამისად მაიონეზი ინახება ჩაბურულ სათავსში -3$^0$C-დან +18$^0$C-მდე, ჰაერის ფარდობითი ტენიანობით არაუმეტეს 75%-ისა.

11. უალკოჰოლო სასმელები უნდა ინახებოდეს მშრალ, კარგად განიავებულ ჩაბურულ სათავსში, ჰაერის ფარდობითი ტენიანობით არა უმეტეს 75%-ისა. ლუდი უნდა ინახებოდეს არა უმეტეს +12$^0$C ტემპერატურაზე.

12. კონსერვები უნდა ინახებოდეს არა უმეტეს +10$^0$C ტემპერატურის პირობებში.

13. ტარა და შესაფუთი მასალა უნდა იყოს გამძლე, სუფთა, არ უნდა ჰქონდეს უცხო სუნი და მზადდებოდეს იმ მასალისაგან, რომელიც ნებადართულია სასურსათო პროდუქტებთან კონტაქტებისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ.

14. სასურსათო პროდუქტების მიღება თანდართული დოკუმენტაციის, შეფუთვის ხარისხისა და ნიშანდების შემოწმებით უნდა ხდებოდეს.

15. ყველა საკვებ პროდუქტებსა და სასურსათო ნედლეულს მწარმოებელ-დამამზადებელი ორგანიზაციის, ხარისხისა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა ახლდეს.

16. ხორცს, კვერცხს, თევზს, თაფლსა და მეფუტკრეობის პროდუქტებს სახელმწიფო ვეტერინალური სამსახურის მიერ დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი უნდა ჰქონდეს.

**IX. სანიტარიული მოთხოვნები სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების ტრანსპორტირებისათვის**

1. მარკირებული და შესაფუთი გადასატანი საკვები პროდუქტების გადაზიდვა უნდა ხდებოდეს სპეციალური ტრანსპორტით. აღნიშნულ ტრანსპორტზე სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის წესისამებრ უნდა იყოს გაცემული სანიტარიული პასპორტი.

2. საკვები პროდუქტების ჩატვირთვა და გადაზიდვა იმ ტრანსპორტით, რომელიც არ უპასუხებს სანიტარიულ მოთხოვნებს და არა აქვს სანიტარიული პასპორტი, აკრძალულია.

3. განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქტების ტრანსპორტირება სამაცივრო და იზოთერმული ავტოტრანსპორტით უნდა ხდებოდეს, განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქტების ტრანსპორტირების ვადა წელიწადის თბილ დროს იზოთრემულ ყინულიან ავტოტრანსპორტში არ უნდა აღემატებოდეს 3 საათს, ხოლო ყინულის გარეშე – 1საათს. მალფუჭებადი პროდუქტების ტრანსპორტირება სამაცივრო ტრანსპორტით -5$^0$C-10$^0$C ტემპერატურაზეა დასაშვები.

4. სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების ტრანსპორტირებისას თითოეული სახის პროდუქტებისათვის დაცული უნდა იყოს სანიტარიული ნორმებისა და წესების მოთხოვნები (ნედლეულისა და მზა პროდუქტების გამიჯვნით გადაზიდვისა და ა.შ.).

5. ცოცხალი თევზის გადაზიდვა წარმოებს თერმოიზო-ლაციური ავტოცისტერნებით, რომელთაც აქვთ ყინულიანი სათავსი და დანადგარი წყლის ჰაერით გასაჯე-რებლად. წყლის ტემპერატურა ზამთარში არ უნდა აღემატებოდეს +1$^0$C -2$^0$C-სს, ზაფხულში კი – +10$^0$C-14$^0$C-ს.

6. მძღოლ-ექსპედიტორს უნდა ეცვას სუფთა სპეცტანსაცმელი, ჰქონდეს პირადი სამედიცინო წიგნაკი და იცავდეს ჰიგიენისა და ტრანსპორტირების წესებს.

7. ტრანსპროტის სანიტარიული დამუშავება რეგულარულად უნდა ხდებოდეს, ხოლო მისი დეზინფექცია 10 დღეში ერთხელაა აუცილებელი.

8. ტრანსპორტის სანიტარიულ მდგომარეობაზე პასუხისმგებელია მისი მფლობელი. იმ ტრანსპორტის სამუშაოდ გასვლა, რომელიც არ უპასუხებს წინამდებარე წესების მოთხოვნებს, აკრძალულია.

**X. პერსონალის სამედიცინო შემოწმება, პროფილაქტიკური გამოკვლევა და ჰიგიენური მომზადება**

1. თანახმად დადგენილი წესისა, ყველა იმ პირმა, რომელიც მონაწილეობს საკვები პროდუქტების ტრანსპორტირებაში, შენახვასა და რეალიზაციაში, სამსახურში მიღებისას და შემდგომშიც უნდა გაიაროს პერიოდული სამედიცინო შემოწმება და სამუშაო ადგილზე იქონიოს სათანადო ნიმუშის პირადი სამედიცინო წიგნაკი.

2. ეპიდემიოლოგიური ჩვენებისას სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურისა და ჯანდაცვის ორგანოების გადაწყვეტილებით შეიძლება ჩატარდეს დამატებითი სამედიცინო გამოკვლევა.

3. აკრძალულია იმ პირთა სამუშაოზე მიღება, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულნი არიან საკვები პროდუქტების შენახვას, ტრანსპორტირებასა და რეალიზაციასთან სამედიცინო შემოწმებისა და ჰიგიენური მოთხოვნების გარეშე; საბითუმო ბაზრის პერსონალი, რომელიც თავს არიდებს დროულ სამედიცინო შემოწმებას, უნდა გათავისუფლდეს სამუშაოდან.

**XI. სანიტარიული მოთხოვნები საკვები პროდუქტების რეალიზაციისადმი. პერსონალის პასუხისმგებლობა**

1. საბითუმო ბაზრის ადმინისტრაცია, სავაჭრო საწარმოებისა და საზოგადოებრივი კვების დაწესებულების ხელმძღვანელობა, გამყიდველები ვალდებულნი არიან აწარმოონ ხარისხიანი საკვები პროდუქტების რეალიზაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი პასუხს აგებენ უხარისხო პროდუქციით ვაჭრობისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბასმისად.

2. სურსათის ხარისხში ცვლილების აღმოჩენისას გამყიდველი ვალდებულია შეაჩეროს მისი რეალიზაცია და დაუყოვნებლივ აცნობოს ადმინისტრაციას საქონლის შემდგომი გამოყენების საკითხის გადასაწყვეტად.

3. გამყიდველი ვალდებულია:

ა) დაიცვას სისუფთავე წარმოებაში;

ბ) მკაცრად დაიცვას პროდუქტების შენახვის პირობები, რეალიზაციის ვადები და წესები და სასაქონლო გამიჯვნის პირობები;

გ) დაიცვას პროდუქტები დაბინძურებისაგან;

დ) მოახდინოს საქონლის რეალიზაცია, მხოლოდ იმ შემთხვევებში თუ მას თან ახლავს ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ე) დაიცვას პირადი ჰიგიენის წესები, იმუშაოს სუფთა სანიტარიული ტანსაცმლით, დროულად გაიაროს სამედიცინო შემოწმება.

4. საბითუმო ბაზრის ხელმძღვანელობა და ყველა მომსახურე, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების ტრანსპორტირებაზე, უნდა გაეცნონ წინამდებარე წესებს და დაიცვან მისი მოთხოვნები.